

კომუნიკაციის მნიშვნელობა საკრებულოში

შესავლი

ნებისმიერი პრობლემური თუ არაპრობლემური სოციალური სიტუაცია ემყარება ურთიერთობას (კომუნიკაციას) მხარეებს შორის. კომუნიკაცია არის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ადამიანებს შორის. ამ დროს ადამიანები ატყობინებენ ერთმანეთს როგორც შინაარს, ასევე გრძნობებს. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს, როგორც ვერბალური (სიტყვიერი), ასევე არავერბალური (უსიტყვო). პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია კომუნიკაცია.

ვარგისიანი ინფორმაციის ატრიბუტები

ვარგისიანი ინფორმაციის განმსაზღვრელია ოთხი ფაქტორი: ხარისხი, თანადროულობა, სისრულე და რელევანტობა.

ხარისხი. სიზუსტე და საიმედოობა განსაზღვრავენ ინფორმაციის ხარისხს. რაც უფრო მაღალია სიზუსტისა და საიმედოობის დონე, მით უფრო ხარისხიანია ინფორმაცია. საინფორმაციო სისტემამ კარგად რომ იმუშაოს, ინფორმაცია, რომლითაც ის უზრუნველგვეყოფს, უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

თუ საკრებულოს წევრები დაასკვნიან, რომ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც მათი ინფორმაციული სისტემა უზრუნველყოფს, დაბალია, სავარაუდოა, რომ ისინი დაკარგავენ ნდობას სისტემის მიმართ და შეწყვეტენ მის გამოყენებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღებისას საკრებულოს წევრი დაბალი ხარისხის ინფორმაციას დაეყრდნობა, მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა სუსტი ან დამლუპველიც კი აღმოჩნდეს.

დროულობა. ინფორმაცია, რომელიც დროულად გამოსადეგია ქმედების გამსორციელებისას და არა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. დღევანდელ სწრაფ და ცვალებად მსოფლიოში, დროული ინფორმაციის საჭიროება ნიშნავს, რომ ის გამოსადეგი უნდა იყოს რელურ დროში. რეალური დროის ინფორმაცია არის ის ინფორმაცია, რომელიც ასახავს მიმდინარე ვითარებას. ეპოქაში, რომელიც განიცდის სწრაფ ცვლილებებს, რეალური დროის ინფორმაციას ხშირად ესაჭიროება განახლება.

სისრულე. ინფორმაცია, რომელიც სრულია, აძლევს საკრებულოს წევრს ყველა საშუალებას, რაც მას კონტროლის, კოორდინაციის ან ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისთვის სჭირდება. თუმცა, საკრებულოს წევრებს იშვიათად აქვთ სრული ინფორმაცია. პირიქით, გაურკვეველობის, ბუნდოვნების და შეზღუდული რაციონალურობის პირობებში მათ საქმე უწევთ არასრულ ინფორმაციასთან. ინფორმაციული სისტემების ერთ-ერთი დანიშნულება არის საკრებულოს წევრთა ხელთ არსებული ინფორმაციის სისრულის გაზრდა.

რელევანტურობა. ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია, გამოსადეგია და თავსებადი საკრებულოს წევრის ცალკეულ სიტუაციებსა და საჭიროებასთან.

არარევეანტური ინფორმაცია უსარგებლოა და შესაძლოა ზიანი მიაყენოს დაკავებული საკრებულოს წევრის მუშაობას, რადგანაც უნდა დახარჯოს ძვირფასი დრო იმის გასარკვევად, არის თუ არა ინფორმაცია რელევეანტური. დიდი ოდენობის ინფორმაცია, რომელთანაც საკრებულოს წევრებს უწევთ ურთიერთობა და ადამიანების ინფორმაციის დამუშავების შეზღუდული შესაძლებლობები, ხალხს, რომელიც ინფორმაციული სისტემის შექმნაზე მუშაობს, უბიძგებს იმისკენ, რომ საკრებულოს წევრების მიერ მხოლოდ რელევეანტური ინფორმაციის მიღება უზრუნველყონ.

სრულყოფილი კომუნიკაციის მნიშვნელობა

კომუნიკაცია არის ინფორმაციის განაწილება ორ ან მეტ ადამიანს ან ჯგუფს შორის საერთო შეთანხმების მისაღწევად.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, კომუნიკაცია არის ადამიანის საქმე და მოიცავს ინდივიდებს და ჯგუფებს.

მეორე - კომუნიკაცია არ შედგება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული საერთო შეთანხმება.

საკრებულოს წევრებს შეუძლიათ გაზარდონ ყაირათიანობა წარმოების პროცესის განახლებით. ეს მათ ხელს შეუწყობს, მოიპოვონ უპირატესობა ახალი და უფრო ყაირათიანი ტექნოლოგიების მეშვეობით და თანამშრომლების წვრთნით, მოიხმარონ ახალი ტექნოლოგიების შესატყობად, ორგანიზაციებში დასაწერად და თანამშრომლებისთვის მათი გამოყენების სასწავლებლად. ამის მსგავსად ხარისხის გაუმჯობესება დამოკიდებულია ეფექტურ კომუნიკაციაზე. საკრებულოს წევრს ესაჭიროება აუხსნას საკრებულოს ყველა თანამშრომელს მაღალი ხარისხის მნიშვნელობა და აუცილებლობა და მისცეს მიმართულება ამ მიზნის მისაღწევად. ხელქვეითებს სჭიდებათ კომუნიკაცია ხარისხის პრობლემების დასაძლევად, შეთანხმებები უფროსებთან ხარისხის გასაზრდელად; თვითმართვადი ჯგუფების წევრებს კი – აზრების ერთმანეთისთვის გაზიარება ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

კარგ კომუნიკაციას აგრეთვე შეუძლია გაზარდოს მომხმარებლის მიმართ პასუხისმგებლობის დონე. როდესაც საკრებულოს წევრები უშუალო კონტაქტში არიან მოსახლეობასთან, უფლებამოსილნი და ვალდებული არიან, საკრებულოს სხდომაზე გაახმოვანონ მოსახლეობის სურვილების და მოთხოვნების შესახებ და საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ინოვაცია, ასევე სჭიროებს ეფექტურ კომუნიკაციას, რადგან მაქსიმალურად ეფექტურად იქნას განხორციელებული ახალი წამოწყებები.

მუნიციპალიტეტის ურთიერთობა მედიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან:

რას ნიშნავს ხელისუფლების გამჭვირვალობა

- მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულებას;
- მოსახლეობის საჯარო ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას და ინფორმაციის შეუზღუდავ და დროულ გავრცელებას;
- ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის სამოქალაქო კონტროლს.

ინფორმაციის გავრცელება ერთი შეხედვით ადვილი, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს პოლიტიკურ კეთილ ნებას, სათანადო უნარ-ჩვევებსა და რესურსებს, რათა გავრცელებულმა ინფორმაციამ მოიტანოს ის შედეგი, რომელსაც ველოდებით.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ინფორმაციის მიწოდების რაიმე ერთი სტრატეგია, უნდა გამოიყენეთ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა მეთოდები:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოქალაქეთა ინფორმირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი საშუალებებია, მაგრამ, სადღეისოდ, საქართველოს ყველა ქალაქში არ არის ტელევიზია, რადიო, თუ არის, არარეგულარულად მაუწყებლობს. იგივე ითქმის გაზეთებზე. ამავე დროს, ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია სრულად იყოს დამოკიდებული მასმედიაზე, რომელთა უმეტესობა კერძოა. თუმცა, ადგილობრივ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მასმედიას შორის კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობაა, ხელისუფლებისგან ინფორმაციის მიღება და გავრცელება, როგორც წესი, პრობლემა არაა.
- რა შეუძლიათ აცნობოთ თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოსახლეობას გაზეთებით და რადიო/ტელევიზიით? საკრებულოს დაგეგმილი სხდომის, ან საჯარო მოსმენის დღის წესრიგი, ადგილი, დრო და თარიღი, რაიმე განსაკუთრებული მოვლენა ადგილობრივ ხელისუფლებაში ან ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელისუფლების რაიმე ახალი პროგრამა, ახალი საზოგადოებრივი მომსახურების გამოჩენა ქალაქში, საგანგებო სიტუაციების შესახებ და სხვ. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული პრესრელიზი ან განცხადება თავისუფალი იყოს ფაქტობრივი უზუსტობისაგან და სარედაქციო შეცდომებისაგან, რათა მათ შეუძლიათ ეჭვის ქვეშ დააყენონ ხელისუფლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორე.
- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ტელევიზიის მოლაპარაკების შედეგად, შეიძლება განხორციელდეს საკრებულოს სხდომის პირდაპირი რეპორტაჟი ან სხდომის ჩანაწერის

გადაცემა. ამ ნაბიჯით გარკვეულწილად თავიდან აიცილებთ კრიტიკას, რომ ხელისუფლების საქმიანობა არ არის გამჭვირვალე.

- ადგილობრივ მასშტაბში, განსაკუთრებით გაზეთებს, შეუძლიათ მისცენ საკრებილოს წევრებს მოქალაქეთა ინფორმირების დამატებითი საშუალებები. მაგალითად, ზოგი გაზეთი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ხალხით მიიღებდა წერილებს ან სარედაქციო ხასიათის პუბლიკაციებს ან სულაც ცალკე სვეტს გამოყოფდა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს შეეძლებოდა თავისი მოსაზრების დაფიქსირება.

- რადიოსა და ტელევიზიაში პირდაპირი ეთერით გადაცემული “მრგვალი მაგიდის” ტიპის შეხვედრები, დებატები ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, მოქალაქეთა ჩართვა პირდაპირ ეთერში, ქალაქის მერის, საკრებულოს თავჯდომარის ან წევრის რეგულარული (მაგ., ყოველკვირეული) ტელეინტერვიუ ქალაქში/რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების საუკეთესო საშუალებაა.

მუნიციპალიტეტის ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან;

სამოქალაქო ინტერესების დაცვა და ღობირება დემოკრატიის ფუნდამენტური ტრადიციებია. საქართველოს ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება დეცენტრალიზაციის განხორციელების საჭიროება. ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციებმა და ამ ასოციაციის წევრებმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ ამ პროცესში.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია არის არასამეწარმეო და არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობას და მოწოდებულია ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფისაკენ.

ეროვნული ასოციაცია დაფუძნდა 2004 წლის 17 დეკემბერს ევროპის საბჭოს და ევროკომისიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში. დამფუძნებელ ყრილობაზე მოწვეული იყო 600 დელეგატი ყველა დონის თვითმმართველობიდან (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი), რომელთაც დაამტკიცეს ასოციაციის წესდება, აირჩიეს ორგანიზაციის პრეზიდენტი და აღმასრულებელი საბჭო. დაფუძნების პროცესში ჩართული იყო მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და თვითმმართველობის ევროპული ასოციაცია.

სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება წარმოადგენს ეროვნული ასოციაციის ძირითად მისიას, რომელიც უნდა განხორციელდეს ცენტრალურ

ხელისუფლებასთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია იმ შემთხვევაშია ფართოდ აღიარებული, როდესაც მას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს მისი წევრების ინტერესების ლობირება და ადგილობრივი დემოკრატიის და თვითმმართველობის განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიზნებია:

- დაიცვას თვითმმართველობის ორგანოთა ინტერესები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- ხელი შეუწყოს საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას;
- ითანამშრომლოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დეცენტრალიზაციის სფეროში;
- მოაწოდოს კვლივითური მომსახურება წევრ თვითმმართველობებს;
- ხელი შეუწყოს თვითმმართველობების მოხელეთა და არჩეულ პირთა ამაღლებას და სოციალური გარანტიების შექმნას;
- მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემათა იდენტიფიცირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ურთიერთდაკავშირება და არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება/დანერგვა.

ასოციაციას გააჩნია პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. თავისი მიზნების განსახორციელებლად ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მისი წარმომადგენლები მონაწილეობენ დეცენტრალიზაციისა და ეფექტიანი მმართველობის სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში, დამყარებულია ინსტიტუციური კავშირები საქართველოს პარლამენტთან, მინისტრთა კაბინეტთან და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. ასოციაციასთან შექმნილია მეგობარ პარლამენტართა კლუბი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობათა პალატაში დელეგაციის წარდგენისას.